სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ
მეცნიერებებში

№2, ივლისი, 2017

Student Journal of Social Sciences

არის თუ არა ეკონომიკური სანქციები ეფექტური პოლიტიკური ბერკეტი?

ნინო აბუსელიძე

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა nini.abuselidze95@gmail.com

აბსტრაქტი

ცივი ომის შემდეგ სანქციები, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი, უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება. ეკონომიკურ სანქციებს იყენებენ სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები სხვა მთავრობების წინააღმდეგ კონკრეტული პოლიტიკის ან ქცევის შეცვლის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სანქციები ძალიან ხშირად გამოიყენება და იგი რჩება საგარეო პოლიტიკის პოპულარულ ინსტრუმენტად, მათი წარმატების მაგალითები ძალიან ცოტაა, და იმ შემთხვევებშიც, როცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანქციები ეფექტური აღმოჩნდა, წარმატება ყოველთვის განპირობებული იყო ფაქტორთა კომბინაციით.

როგორც აღვნიშნე, სანქციების ძირითადი მიზანი სამიზნე ქვეყანაში პოლიტიკის ან ქცევის შეცვლაა, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მმართველი გუნდის შეცვლის გარეშე. ამასთანავე, სანქციები მარტივად ვერ გამოიწვევს რევოლუციას და რეჟიმის ცვლილებას. ხშირად სანქციების შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ხალხი აჯანყდეს არსებული მთავრობის წინააღმდეგ, პირიქით, ზოგ შემთხვევაში ასეთი სიტუაცია რეჟიმის არსებობასაც კი განაპირობებს.

სანქციების ეფექტურობას ხელს უშლის დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიო, რომელიც ყოველთვის ტოვებს გზას სამიზნე ქვეყნისთვის; რეჟიმის მიმართ მხარდაჭერა, რომელსაც ქმნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და რომელიც სანქციების დაწესების შემდეგ უფრო მყარდება; ,,არასწორი" სამიზნე ჯგუფი, რომელიც, როგორც წესი, უბრალო მოსახლეობაა, მმართველები კი ყოველთვის პოულობენ გზას, რომ სანქციებს გვერდი აუარონ.

ეკონომიკური სანქციები წარმოადგენს სამხედრო ძალის გამოყენების ალტერნატივას, ერთგვარ რბილ ძალას პოლიტიკაში, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის იმდენად ძლიერი ინსტრუმენტი, რომ სამიზნე ქვეყანა აიძულოს პოლიტიკა შეცვალოს. დამატებით ფაქტორებთან (მაგალითად, ძლიერი ოპოზიციის არსებობა, მმართველი გუნდის ცვლილება/მოქნილობა, მოსახლეობის ერსულოვნება და ა.შ) ერთად ეკონომიკური სანქციები ნამდვილად ეფექტურია.

საკვანძო სიტყვები: *სანქციები, ეკონომიკური სანქციები, პოლიტიკური რეჟიმი, ურთიერთდამოკიდებულება,სამხრეთ აფრიკა, ერაყი, ირანი, სუდანი, კუბა, ლიბია, რუსეთი.*

Abstract

The use of sanctions, as a foreign policy tool, increased after the Cold War. Sanctions are actions taken by countriesor international organizations to persuade a particular government or group of governments to change their policy either unilaterally or multilaterally. Despite their widespread use, sanctions are remarkably unsuccessful in achieving their stated policy objectives. There are very few examples of effective sanctions and even in those cases, the success came due to the combination of factors.

Usually, policy change is impossible without the change of ruling party. Sanctions won't easily lead to revolution and regime change. As past experience shows, economic damage is not enough to encourage people revolt against the government. On the contrary, sanctions are the main motivate factor for the existence of such regimes.

Following factors prevent the effectiveness of sanctions:

- The imposition of sanctions has very limited effects due to interdependence. Globalisation has thus been perceived to minimise the supposedly effects of sanctions and the fact that no country is self-sufficient in all aspects has made sanctions lose their success;
- Regime support, which is intensified because of the difficult economic situation caused by sanctions;
- ,,Wrong "target groups, which are usually ordinary people and rulers always find a way to overcome the sanctions.

Economic sanctions are substitute for the use of force, but they aren't effective enough to cause the policy change in the target country. Additional factors, such as strong opposition, flexibility of ruling party, solidarity in population, together with economic sanctions can really lead to changes in policy or even regime change.

Key Words: *globalization, sanctions, economic sanctions, interdependence, regime change, Iran, South Africa, Cuba, Iraq, Sudan, Russia, Lybia*

შესავალი

სანქციები არის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებენ სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობების წინააღმდეგ კონკრეტული პოლიტიკის ან ქცევის შეცვლის მიზნით. ცივი ომის შემდეგ სანქციები უფრო ხშირად გამოიყენება, როგორც საერთაშორისო დიპლომატიის ინსტრუმენტი.ჯერემი გრინშტოკის (ბრიტანეთის ელჩი გაეროში 1998-2003 წლებში) აზრით, სანქციების პოპულარობის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ,,თუ გინდა ზეწოლა მოახდინო მთავრობაზე, არ არსებობს სხვა გზა სიტყვებს და სამხედრო ქმედებას შორის. სამხედრო ქმედება კი სულ უფრო არაპოპულარული და მრავალმხრივ არაეფექტური ხდება თანამედროვე მსოფლიოსთვის, ხოლო სიტყვას არ აქვს ძალა რთული რეჟიმების შემთხვევაში. ასე რომ, საჭიროა რაღაც მათ შორის"[1].

ზოგიერთი ავტორი ოპტიმისტურად მსჯელობს სანქციების ეფექტურობაზე (Elliot 1998;), სხვები ამტკიცებენ რომ სანქციები მუშაობს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (Pape 1997 and 1998). ეკონომიკური სანქციების მეტნაკლებად საფუძვლიან კვლევას წარმოგვიდგენენ ჰუვბორი, სკოტი და ელიოტი (Hufbauer, Schott and Elliott 1990). თავიანთ წიგნში ,,Economic Sanctions Reconsidered" გაანალიზებული 115 სანქციის შემთხვევის მიხედვით, ისინი ასკვნიან, რომ ამათგან მხოლოდ 34% იყო წარმატებული (იხ. დანართი 1). ეს მეტყველებს იმაზე, რომ აქამდე არსებულ შემთხვევებს თუ გავითვალისწინებთ, უმრავლეს შემთხვევაში სანქციებმა ვერ მიაღწიეს მიზანს.

ერთი მხრივ, ეკონომიკური სანქციები შეიძლება მივაკუთვნოთ რბილ ძალას და სამხედრო ძალის გამოყენების ალტერნატივად ჩავთვალოთ, მეორე მხრივ, ისინი არიან საგარეო პოლიტიკის პოპულარული ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც ქვეყნებს სურთ სხვა ქვეყნის ქმედებაზე გავლენის მოხდენა/ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილება.

თუმცა აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი: პირველი, სანქციების გავლენა სამიზნე ქვეყანაზე და სანქციების ეფექტურობა ერთი და იგივე არაა. პირველი იკვლევს სანქციების დაწესების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვაჭრობაში, სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. მეორე კი ცდილობს დაადგინოს, მიაღწია თუ არა სანქციებმა თავდაპირველად დასახულ მიზანს და გამოიწვია სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის ან ქცევის ცვლილება. მეორე, სანქციების ეფექტურობა განისაზღვრება იმით, თუ რა იყო სანქციების დაწესების მიზეზი ან მოტივი. ჩვეულებრივ, ეს არის რეჟიმის ცვლილება ან სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ პოლიტიკაზე უარის თქმა. თუ მიზნები მიღწეული იქნა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანქციები ეფექტური აღმოჩნდა. გასათვალიწინებელია კიდევ ერთი ფაქტორი: სანქციების არ-არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მიზნების მიღწევა, რაც ასევე განსაზღვრავს სანქციების ეფექტურობას.

უახლეს ისტორიას რომ გადავხედოთ, ძალიან ცოტა შემთხვევა არსებობს, როცა სანქციები წარმატებული აღმოჩნდა და წარმატების შემთხვევებშიც არსებობდა ფაქტორთა კომბინაცია.

სანქციების ეფექტურობაზე მსჯელობისას, აშკარად წარუმატებელი ქეისებია ჩრდილოეთ კორეის, ერაყის, კუბის, ბელორუსიის, ზიმბაბვეს მაგალითები. მეტ-ნაკლებად წარმატებულ ქეისებად ითვლება ლიბიის, სამხრეთ აფრიკის, იუგოსლავიისა და ირანის მაგალითები.

[1]Marcus, J. (2010, July 26). Analysis: Do economic sanctions work? Available at: http://www.bbc.com/news/world-middle-east-10742109 last access on 28th February

კვლევის მიზანი, მეთოდოლოგია

მოცემული ნაშრომის მიზანია, დაამტკიცოს, რომ ცალკე აღებული ეკონომიკური სანქციები არ არის შედეგის მომცემი, ეფექტური და მხოლოდ ფაქტორთა ერთობლიობა იწვევს ქვეყნების მიერ პოლიტიკის ცვლილებას. ავტორი ასევე ხსნის მიზეზებს, რატომ არ არის სანქციები რიგ შემთხვევებში წარმატებული და რა უშლის მათ ხელს დასახული მიზნის მიღწევაში. ნაშრომის მეთოდოლოგია მოიცავს ქეისების შესწავლას და მათ საფუძველზე დასკვნების გაკეთებას.

საკვლევი კითხვა: რა ფაქტორები უშლის ხელს სანქციების ეფექტურობას?
კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან კვლევის შედეგები სხვა მკვლევარებს საშუალებას მისცემს, გააგრძელონ მუშაობა და იმსჯელონ იმ პირობებსა და გარემოებებზე, რომლებიც რეჟიმის ან პოლიტიკური კურსის ცვლილებისთვის ეკონომიკურ სანქციებს ეფექტიანს გახდის.

ანალიზი

სანქციების ეფექტურობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია რამდენიმე ქეისის გამოყოფა. ესენია: კუბის (1960 წ.), ერაყის (1990 წ.), სუდანის (1997წ.), ირანის (1979 წ.), სამხრეთ აფრიკის (1948 წ.) წინააღმდეგ დაწესებული სანქციები. მოცემულ ნაშრომში არ მიმოვიხილავ ყველა ქეისს ინდივიდუალურად, არამედ განვიხილავ მათ იმ ფაქტორებთან მიმართებით, რომლებიც ხელისშემშლელი გარემოებებია სანქციების წარმატებისთვის და იწვევს მათ არაეფექტურობას.

დღევანდელი მულტიპოლარული, ურთიერთდამოკიდებული და გლობალიზებული მსოფლიოს პირობებში სანქციები სამიზნე რეჟიმების წინააღმდეგ არ არის წარმატებული

1997 წელს, როდესაც სუდანი დაადანაშაულეს ტერორისტების თავშესაფრისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, კლინტონის ადმინისტრაციამ განუსაზღვრელი ვადით დააკისრა სანქციები, რომელიც ამ ქვეყანას დღემდე აქვს. როცა დასავლელი მულტინაციონალები, რომლებმაც აღმოაჩინეს ნავთობი სუდანში, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა სანქციების დაწესების გამო, ჰორიზონტზე მაშინვე გამოჩნდა ჩინეთი; როდესაც აშშ-ის მხარდამჭერმა ქვეყნებმა სუდანს იარაღის მიწოდებაზე უარი უთხრეს, ირანმა მიაწოდა მას იარაღი (Sobahi.2015). ზიმბაბვე, რომელსაც 2002 წლიდან აშშ–მ, ევროკავშირმა და ავსტრალიამ დაუწესეს სანქციები (მაღალი ღირებულების საქონელით, მათ შორის ბრილიანტებით, უკანონო ვაჭრობა), დაადგა “Look East” პოლიტიკას და ვაჭრობა გააგრძელა ჩინეთთან, მალაიზიასთან, ინდონეზიასთან, ირანთან, რამდენიმე აფრიკული სახელმწიფო სანქციების წინააღმდეგიც იყო. ხოლო კუბა 1975-89 წლებში ნაკლებად გრძნობდა ემბარგოთი გამოწვეულ ეკონომიკურ დანაკარგებს, რადგან სსრკ ავსებდა იმ დანაკლისს, რაც აშშ-ს ემბარგომ მოუტანა. ამავე დროს 1975 წელს OAS (ამერიკული ქვეყნების ორგანიზაცია) ყველა წევრმა გაუუქმა სანქციები კუბას (Iustin. 2010:24). NAFTA–ს (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) დანარჩენმა ორმა წევრმა (კანადა და მექსიკა) და ევროკავშირმა გააგრძელა ურთიერთობები კუბასთან მასზე ემბარგოს დაკისრების მერეც.

მრავალპოლარული და ურთიედამოკიდებული მსოფლიო ამცირებს სანქციების წარმატებას. თუ სანქციების მიზანი იყო სუდანის გაღარიბება, მაშინ მიზანი მიღწეულია და სანქციებიც წარმატებულია, მაგრამ თუ სანქციების მიზანი ხელისუფლების დამხობა იყო, მაშინ 25 წლის შემდეგ სუდანის მმართველი პარტია კვლავ სათავეშია, რაც ამტკიცებს, რომ სანქციებმა არ იმუშავა.

კუბის, ჩრდ. კორეის, ერაყის, ზიმბაბვეს, სუდანის და ბელორუსიის შემთხვევაში სანქციებმა ვერ გამოიწვია ავტორიტარული რეჟიმების ცვლილება, რადგან ბევრი ქვეყანა ეფექტურად აიგნორებს სანქციებს, ან როგორც ჩინეთი აკეთებს, ,,აზიანებს“ და არაეფექტურს ხდის მათ. მაგალითისთვის, ჩინეთი გახდა უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ირანისთვის მას შემდეგ, რაც გაერომ ირანს სანქციები დაუწესა.
თუ ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირი სთავაზობდა დახმარებას დასავლეთისაგან იზოლირებულ რეჟიმებს, დღეს იგივე როლი მორგებული აქვთ ე.წ BRICS (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი,ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) ქვეყნებს, განსაკუთრებით კი ჩინეთს, ინდოეთსა და რუსეთს.

ღარიბი და არამყარი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული სანქციები ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულის წახალისებას. ასეთ დროს მხოლოდ უბრალო ხალხი იტანჯება და განიცდის სანქციებს.

პიტერ ანდრეასი ამტკიცებს, რომ სანქციები ზრდის ორგანიზებული დანაშაულის რიცხვს და საერთაშორისო კონტრაბანდის ქსელების შექმნას სამიზნე ქვეყნის შიგნით და გარეთ, რაც დასტურდება ერაყის მაგალითით (Oskarsson,2012).

ერაყის ქუვეითში შეჭრას 1990 წელს მოჰყვა სანქციების 13 წლიანი პერიოდი, რომელიც დასრულდა 2003 წელს აშშ-ის ერაყში შეჭრით. როცა ერაყს სანქციები დაუწესეს, ბევრი პოლიტიკოსი ფიქრობდა, რომ სანქციების მიერ გამოწვეული ეკონომიკური გაჭირვება ანტი-სამთავრობო მოძრაობებს გამოიწვევდა და სადამ ჰუსეინი გახდებოდა რევოლუციის მსხვერპლი. მაგრამ, სწორედ რომ ეკონომიკურმა უკუსვლამ, რომელიც სანქციების დაწესებას მოყვა ერაყში, ხალხი უფრო დამოკიდებული გახადა მთავრობაზე საკვებისა და გადარჩენისთვის საჭირო პირველადი მოხმარების ნივთების გამო. 1991 წლის აპრილში ერაყში ქოლერას ეპიდემია და სხვა დაავადებებიგავრცელდა და ფართო მასშტაბები მიიღო. ინფლაციის გამო სიცოცხლისთვის აუცილებელ პროდუქტებზე ფასები საშინლად გაიზარდა. ასეთმა რთულმა მდგომარეობამ ასევე ხელი შეუწყო ნავთობის კონტრაბანდას. აქვე უნდა აღინიშნოს 1990-იან წლებში ბავშვების სიკვდილიანობა ერაყში, რაც ყველაზე მწვავე მომენტი იყო სხვადასხვა მკვლევრებთან სანქციების ეფექტურობაზე მსჯელობისას. ჟურნალისტები იყენებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებს, რომ ეჩვენებინათ ჰუმანიტარული კრიზისი ერაყში და აცხადებდნენ, რომ ეკონომიკური სანქციები იყო პასუხისმგებელი 600 000 ერაყელი ბავშვის სიკვდილში სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ (Drezner.1998:70).

თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერაყში დაწესებული სანქციები წარუმატებელი იყო მიუხედავად იმისა, მათი მიზანი რეჟიმის ცვლილება იყო თუ ქიმიური იარაღის მოსპობა (რომელიც ერაყში ვერ იპოვეს).

თუ განვიხილავთ სუდანსაც, სანქციებს უნდა შეესუსტებინა რეჟიმი ეკონომიკურ და სამხედრო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუქმებით, მაგრამ სანქციებმა უბრალო ადამიანები დააზიანა, ხოლო რეჟიმი დღესაც ცოცხლობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სანქციების შედეგებითზიანდებიან რიგითი ადამიანერბი, ხოლო რეჟიმის წარმომადგენლები და გავლენიანი ადამინები ნახულობენ გზას, რომ სანქციებს გვერდი აუარონ. ამიტომაც დაიბადაე.წ. ,,ჭკვიანი სანქციების“ იდეა(შვეიცარიისა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ ამ იდეისინიციატორები),რომელიც მიმართული იქნებოდა მმართველის წინააღმდეგ და არა მოსახლეობის.თუმცა, ვინაიდან სანქციები ძალიან რთული და მგრძნობიარე პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ამ შემთხვევაშიც, ვერ ხერხდება მათი ეფექტურობის გაზრდა.

სანქციები აძლიერებენ რეჟიმის მიმართ მხარდაჭერას

სანქციები აძლიერებენ რეჟიმის მიმართ მხარდაჭერას, რადგან საგარეო ზეწოლის პირობებში ხალხი ერთიანდება მათი დროშის ირგვლივ.

აშშ-სა და კუბას შორის დაპირისპირების სათავე იყო 1,5 მლრდ დოლარის ამერიკული ქონების ნაციონალიზაცია კუბაში და შემდეგ კომპენსაციაზე უარის თქმა. ამან გამოიწვია აშშ-ის მხრიდან ემბარგოს დაწესება კუბისთვის. ბევრი ისტორიკოსი, მაგალითად, უილიამსი, ამტკიცებს, რომ სწორედ აშშ-ის სანქციებმა აიძულა კუბა საბჭოთა ხელში ჩავარდნილიყო. (Osieja. 2005:108). აშშ-ისთვის ეს არა მხოლოდ პოლიტიკური და სტრატეგიული დანაკარგი იყო, არამედ მისი გავლენის სფეროსაც აყენებდა ეჭვქვეშ. პრაქტიკულად საბჭოთა სატელიტი დასავლური გავლენის სფეროში, საბჭოთა ეკონომიკური დახმარების წყალობით, ამერიკის კონტინენტზე მარქსიზმ-ლენინიზმის დასაყრდენი გახდა.

ემბარგომ ნამდვილად შეუქმნა პრობლემები კუბას და მოსახლეობის ცხოვრების დონეც ძალიან შემცირდა, მაგრამ არ გამოუწვევია დაუძლეველი პრობლემები. იმის მაგივრად, რომ შესუსტებულიყო კასტროს ძალაუფლება, პირიქით, უფრო გაძლიერდა და რეჟიმი გამუდმებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ,,გადარჩა იმპერიალისტების ბლოკადის მიუხედავად“. სანქციებმა კი არ ააჯანყა ხალხი კასტროს

წინააღმდეგ, არამედ გმირად აქცია იგი (Osieja. 2005:109). ემბარგომ ასევე ვერ მიაღწია იმას, რომ 56 წლის წინ ნაციონალიზებული ამერიკული ქონების კომპენსაცია მომხდარიყო.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ემბარგომ კუბელებს უამრავი სირთულე და ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა, ემბარგოს მიზანი, კასტროს გადაგდება, მაინც არ შესრულდა.

სანქციებს შეუძლიათ თავდაცვითი რეაქციის პროვოცირება

ირანის შემთხვევაში, არსებობდა უკმაყოფილება, რომ 1980 წელს ერაყის მიერ ომის დაწყებას ირანის წინააღმდეგ ხელი არ შეუშალა საერთაშორისო საზოგადოებამ, და რომ ერაყს, როგორც აგრესორს, არ დაუწესეს სანქციები. ამიტომაც ხალხში ჩამოყალიბდა და გამყარდა მოსაზრება, რომ ,,მხოლოდ საკუთარი თავის იმედად უნდა ვიყოთ“[2]. ამან გამოიწვია ის, რომ ქიმიური იარაღის შექმნა ეროვნული ინტერესი გახდა. ირანელები გამუდმებით მუშაობდნენ მის შესაქმნელად და ქიმიურ იარაღს განიხილავდნენ, როგორც უსაფრთხოების გარანტს და მთავარ პოლიტიკურ ბერკეტს საერთაშორისო სივრცეში.

გამამართლებელი არგუმენტი როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში

აშშ-ის მიერ დაწესებული ემბარგო საშუალებას აძლევდა კასტროს, გამოეყენებინა ის, როგორც არგუმენტი და ემბარგო დაედანაშაულებინა ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისში, რაც აძლიერებდა მის ძალაუფლებას და კონტროლს ქვეყანაზე. ვაშინგტონის ამგვარი მუდმივი მტრული განწყობა საბჭოურ რეჟიმს მხოლოდ უწყობდა ხელს. ემბარგო დღემდე ყველაზე კარგი არგუმენტია, რითაც რაულ კასტრო მისი და მისი წინამორბედის პოლიტიკას ამართლებს. ჰუვერის ინსტიტუტის დასკვნაში კუბაზე ნათქვამია: "კასტრომ იცის, რომ ემბარგო გარკვეულწილად არიდებს მას შეუერთდეს ლათინო ამერიკის ქვეყნების წარუმატებელი დიქტატორების სიას. არაფერი არ მიაახლოვებს მას "სიკვდილთან", სანამ ის ცოცხალია და ატარებს ემბარგოს ტვირთს“ (Iustin. 2010:41). ამ არგუმენტს ადასტურებს რაულ კასტროს განცხადებაც: „კუბისთვის ყველაზე მთავარი პრობლემა, ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური საკითხები, ჯერ არ მოგვარებულა. სწორედ ბლოკადის შედეგია დიდი ადამიანური და ეკონომიკური ზიანი. ეს არის საერთაშორისო უფლებების დარღვევა[3]“. მართლაც, სანამ კუბის ლიდერებს შეუძლიათ მიუთითონ ამერიკაზე, როგორც გარე საფრთხეზე კუბელების კეთილდღეობისთვის, ისინი იქნებიან წარმატებულები კუბელთა შორის. უფრო მეტიც, ემბარგო შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც გამართლება ნაციონალიზმისა და ანტი–ამერიკული გარემოს შექმნისა კუნძულზე.

რაც შეეხება რუსეთს, აქ არსებული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, პუტინის პოპულარობა მატულობს. მიუხედავად იმისა, რომ სანქციებმა (რომელიც მას 2014 წელს დაუწესეს ყირიმის ანექსიისთვის) ზიანი მოუტანა რუსეთს, ანალიტიკოსები ამბობენ, რომ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისი არის ნავთობის ფასის 48 %-იანი კლების[4] შედეგი. სანქციებმა ასევე გაზარდა ანტი-ამერიკანიზმი რუსეთში, რომელიც სტალინის პერიოდის შემდეგ, ყველაზე მაღალია. Washington Post–ის მიხედვით, რუსეთის მოსახლეობის 81% აშშ–ის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი[5]. როგორც ვხედავთ,

[2]Marcus, J. (2010, July 26). Analysis: Do economic sanctions work? Available at: http://www.bbc.com/news/world-middle-east-10742109 last access on 28th February

[3]http://www.newsmax.com/Newsfront/Cuba-US-diplomacy-Castro/2015/01/28/id/621291/; last access on 17th January

[4]Birnbaum. M. (2015) ,,A year into a conflict with Russia, are sanctions working?" available at **https://www.washingtonpost.com/world/europe/a-year-into-a-conflict-with-russia-are-sanctions-working/2015/03/26/45ec04b2-c73c-11e4-bea5-b893e7ac3fb3_story.html?utm_term=.e0072d875310** last access on 20th March, 2017

[5]https://www.washingtonpost.com/world/europe/a-year-into-a-conflict-with-russia-are-sanctions-working/2015/03/26/45ec04b2-c73c-11e4-bea5-b893e7ac3fb3_story.html?utm_term=.e0072d875310last access on 20th March, 2017

ეკონომიკური სიმძიმე არ არის სტიმულატორი რუსებისთვის, რომ საკუთარ ლიდერებს პოლიტიკის ცვლილებებისკენ უბიძგონ.

ასე რომ, ბევრ სამიზნე ქვეყანაში სანქციებს აღიქვამენ გარე საფრთხედ, რასაც პოლიტიკოსები და მმართველი წრეები იყენებენ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის და მოსახლეობის უკმაყოფილებას მიმართავენ დამწესებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რამეთუ ეს უკანასკნელი გამოყავს დამნაშავედ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაში.

აქამდე ცნობილ წარმატებულ ქეისებში, სანქციების ეფექტურობა გამოწვეული იყო ფაქტორთა კომბინაცით და არა ცალკე აღებული ეკონომიკური სანქციებით.

სანქციები უფრო ეფექტურია, როცა არის სამხედრო ქმედებასთან კომბინაციაში. ამის საუკეთესო მაგალითი ერაყია, სადაც რეჟიმის ცვლილება მხოლოდ სამხედრო გზით მოხდა და არა სანქციების წარმატების გამო (ცალკე საკითხია, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ეს ინტერვენცია, მაგრამ აქ ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ ცალკე აღებული სანქციები შედეგის მომტანი უფრო ნაკლებადაა). მხოლოდ სანქციები ნაკლებად თუ აღწევენ დასახულ მიზანს და ამის უამრავი მაგალითი გვაქვს-კუბა, ერაყი, ლიბია, სერბეთი და ა.შ.

ლიბიის (რომელსაც სანქციები დაუწესეს 1992-1999 წლებში ტერორიზმის მხარდაჭერისთვის და ბირთვული იარაღის განვითარების მცდელობისთვის) პოლიტიკის ცვლილება გამოიწვია დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო ფაქტორების კომბინაციამ უფრო, ვიდრე მხოლოდ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა. ბირთვული იარაღის პოლიტიკის კურსის ცვლილება ლიბიაში იყო გვერდითი პროცესი იმისა, რაც აშშ-მ გააკეთა ერაყსა და ავღანეთში (ერაყში შესვლიდან მეხუთე დღეს კადაფი მზად იყო შეთანხმებისთვის).

ირანში, რომელსაც აშშ-ის სანქციები 1979 წლიდან, გაეროს სანქციები 2006 წლიდან და ევროკავშირის სანქციები 2012 წლიდან ჰქონდა, დღეს უკვე მიმდინარეობს ამ სანქციების ეტაპობრივი მოხსნის პროცესი, რაც ირანის მხრიდან ბევრ კომპრომისზე წასვლის შედეგიცაა. 2015 წლის ზაფხულში მოხდა დასავლეთსა და ირანს შორის შეთანხმების გაფორმება, რასაც მკვლევარები, ისტორიკოსები და პოლიტიკოსები ,,ისტორიულს“ უწოდებენ. მართლაც, რთული წარმოსადგენი იყო, რომ 36 წლიანი სანქციების შემდეგ, ირანი მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდებოდა და ისეთ კომპრომისებზე წავიდოდა, როგორიცაა ქიმიურ იარაღზე მუშაობის შემცირება.

მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ მართალია ეკონომიკურმა სანქციებმა ძლიერი ზეწოლა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ ისინი მაინც არ იყო ერთადერთი მამოძრავებელი ფაქტორი პოლიტიკური კურსის თუ რეჟიმის ცვლილებისთვის. როუჰანის ხელისუფლების ფაქტორი, რომელიც შედარებით ლიბერალური და მოქნილია ცვლილებების მხრივ და მოსახლეობის სურვილი, გათავისუფლებულიყვნენ ამდენწლიანი იზოლაციისგან, ასევე მნიშვნელოვანი მამოტივირებელი იყო ირანის მხრიდან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდომისთვის.

სამხრეთ აფრიკაში სანქციების დაწესების შედეგად მოხდა არა მხოლოდ აპართეიდის რეჟიმის ჩამოგდება, არამედ ქვეყნის წარმატებული დემოკრატიული ტრანზიციაც. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ აქ, ირანისგან განსხვავებით, სანქციები არ იყო მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, არამედ დამხმარე ეფექტი უფრო ჰქონდა. ქვეყანაში არსებობდა ძლიერი ანტი-აპართეიდული პოლიტიკური მოძრაობა, რომლის გადამწყვეტი მომენტიც გახდა 1976 წლის სოვეტოს პროტესტთა ტალღა. იგი დაიწყო, როგორც საპროტესტო მოძრაობა მთავრობის გეგმის წინააღმდეგ, მომხდარიყო აფრიკელთა სწავლება ,,შავ სკოლებში“. ამ ფაქტმა მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება და გამოიწვია გაეროს მხრიდან იარაღზე ემბარგო. საერთაშორისო საზოგადოება მუდმივად გმობდა აპართეიდის რეჟიმს, მაგრამ ძირითადი ეკონომიკური სანქციები უფრო გვიან დაწესდა. რეფორმების მოთხოვნის ზეწოლაზე საპასუხოდ მთავრობამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც ინდოელებს და სხვა ,,ფერად ხალხს“ აძლევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, მაგრამ შავკანიანებს მაინც გამორიცხავდა (Levy.1999:5). არეულობები გაგრძელდა და უფრო ინტენსიურიც გახდა, რასაც მთავრობამ რეპრესიებით უპასუხა. 1985 წლის ივლისში ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. სწორედ ეს ყველაფერი უძღოდა წინ მრავალმხრივ ეკონომიკურ სანქციებს. ასევე, ფართო შრომითი ბაზრის დეფორმაცია და ცვლილება იყო

მოსახლეობისთვის მიუღებელი. სამხრეთ აფრიკლების მიერ მძიმე ეკონომიკური პირობების კავშირი პოლიტიკის ცვლილების აუცილებლობასთან დადებითი იქნებოდა სანქციების არ-არსებობის შემთხვევაშიც. მაშინ როცა ქვეყანაში არსებულ ოპოზიციურ მოძრაობას არ ჰქონდა საკმარისი ძალა მთავრობის ძალის გზით ცვლილებისთვის, მან მაინც გამოიწვია ქვეყნის მნიშვნელოვანი შიდა ნგრევა. ეს პოლიტიკური არასტაბილურობა ეკონომიკურ ხარვეზებთან ერთად ქვეყანას ხდიდა არა-სასურველს ინვესტორებისთვის. ამ ორი ფაქტორის მიუხედავად, აპართეიდის რეჟიმი კვლავ ცოცხლობდა. საბოლოო ფაქტორი აღმოჩნდა კომუნიზმის დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და გორბაჩოვის მიერ მარიონეტულ ომებზე უარის თქმა. ეს იმიტომ, რომ მთავრობა აფრიკის ეროვნულ კონგრესს (ANC) ხედავდა კომუნისტების პარტიად, რომლებიც ქვეყანასკომუნისტურ ბლოკში გაწევრიანებისკენ წარუძღვებოდნენ (Levy.1999:11), სსრკ–ს დაშლის შემდეგ კი ეს იდეა დასამარდა.

1985-1989 წლებში სამხრეთ აფრიკაში ექსპორტი გაიზარდა 26%-ით, მაშინ როცა ვაჭრობის პირობები გაუარესდა (Levy.1999:7). მიუხედავად იმისა, რომ ეს სანქციები ძალაში იყო, შავკანიანთა მიმართ ძალადობა გრძელდებოდა და დროდადრო ძლიერდებოდა კიდეც. როგორც დავინახეთ, აპარტეიდის რეჟიმისდამხობა, განპირობებული იყო სამიფაქტორით: შავკანიანთა ძლიერი ოპოზიური ძალის არსებობით, აპართეიდის სისტემის არაეფექტურობით და საბჭოთა კავშირის დაშლით. სანქციები ამ შემთხვევაში იყო ერთ-ერთი იმ მრავალ მამოტივირებელმიზეზს შორის, რომლებმაც საბოლოო ჯამში გამოიწვიეს რეჟიმის შეცვლა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სანქციები არასდროსაა ცალმხრივი და მას გავლენა აქვს, როგორც სამიზნე ქვეყანაზე, ასევე სანქციების დამწესებელ სახელმწიფოზეც. მაგალითისთვის, თუ ავიღებთ კუბის შემთხვევას, ITC-ის (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი) მტკიცებით, ემბარგოთი გამოწვეული ამერიკის ექსპორტის წლიური დანაკარგი წარმოდგენდა 1,2 მილიარდს. ანუ ემბარგოს აშშ-ის ეკონომიკაზეც ჰქონდა ნეგატიური გავლენა, რაც აშშ-ს ქმედებებს გარკვეულწილად ზღუდავდა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები ერიდებიან უკიდურესი ზომების მიმართვას და უმკაცრესი სანქციების დაწესებას, რადგან ეს მათზეც იმოქმედებს უარყოფითი კუთხით.

ჩიკაგოელი რობერტ პეიპი თავის ნაშრომში წერდა, რომ ეკონომიკური სანქციები წარმატებული იქნება და შედეგს გამოიღებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი მიმართულია დემოკრატიების წინააღმდეგ და მაგალითად მოჰყავს სუეცის კრიზისის დროს ბრიტანეთისთვის დაწესებული სანქციები[6]. სამხრეთ აფრიკის გარდა კიდევ 14 ქეისია, სადაც სანქციები წარმატებული აღმოჩნდა: აშშ-სა და ბრიტანეთს შორის (1956, სუეცის კრიზისი); კანადასა და იაპონიას შორის (1977-1978); საფრანგეთსა და ახალ ზელანდიას შორის (1986) და ა.შ. (Chingono; Hove and Danda. 2013). მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით, ეს მოსაზრება მეტ-ნაკლებად მართალია. ასევე, მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მოკავშირეების წინააღმდეგ მიმართული სანქციები უფრო ეფექტური იქნება.

დასკვნა

ეკონომიკური სანქციების მიზანია სამიზნე ქვეყნის პოლიტიკის ან ქცევის ცვლილება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს შეუძლებელი ხდება მმართველი გუნდის შეცვლის გარეშე. სანქციები მარტივად ვერ გამოიწვევს რევოლუციას და რეჟიმის ცვლილებას. ისტორია ამას ადასტურებს. იდეა, რომ ეკონომიკური ომი ერაყელებს ააჯანყებდა სადამის წინააღმდეგ, ან ლიბიელებს კადაფის წინააღმდეგ, ანდა კუბელებს კასტროს წინააღმდეგ თავიდანვე არასწორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სანქციები ძალიან ხშირად გამოიყენება და იგი რჩება საგარეო პოლიტიკის პოპულარულ ინსტრუმენტად, მათი წარმატების მაგალითები ძალიან ცოტაა, და იმ შემთხვევებშიც წარმატება ყოველთვის განპირობებული იყო ფაქტორთა კომბინაციით. სანქციების ეფექტურობას ხელს უშლის დღევანდელი გლობალიზებული მსოფლიო, რომელიც ყოველთვის ტოვებს გზას სამიზნე ქვეყნისთვის, რეჟიმის მიმართ მხარდაჭერა, რომელიც სანქციების დაწესების შემდეგ უფრო მყარდება, ,,არასწორი" სამიზნე ჯგუფი, რომელიც როგორც წესი უბრალო მოსახლეობაა და მმართველები კი ყოველთვის პოულობენ გზას სანქციებს რომ გვერდი აუარონ. ამასთან, ეკონომიკური სანქციები შესაძლებელია, არსებული რეჟიმის წარმომადგენლებისთვის

[6]Jenkins. S. (2015, April 15). Available at: https://www.theguardian.com/commentisfree/2015/apr/15/cuba-sanctions-dont-work-iran-russia-default-western-diplomacy last access on 28th February

გამამართლებელი საბუთიც აღმოჩნდეს ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების პირობებში და ამის გამო, რეჟიმმა პოპულარობა არ დაკარგოს.

ეკონომიკური სანქციები წარმოადგენს სამხედრო ძალის გამოყენების ალტერნატივას, ამასთანავე, მხოლოდ ის არაა იმდენად ძლიერი ინსტრუმენტი, რომ სამიზნე ქვეყანა აიძულოს პოლიტიკა შეცვალოს.მაგრამ სხვა ფაქტორებთან ერთად ეკონომიკური სანქციები უფრო წარმატებული და ეფექტურია, რადგან სანქციების შედეგად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა სამიზნე ქვეყანაში დამატებით ეფექტს ქმნის და ერთგვარი მამოტივირებელია პოლიტიკის ცვლილებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ,,Economic Sanctions as a Foreign Policy Tool: a Comparative Analysis of Their Effects on the Russian and Iranian Oil and Gas Industries" available at http://www.icpublicpolicy.org/conference/file/reponse/1433960996.pdf last access on 28.02.2017
2. Marcus, J. (2010, July 26). Analysis: Do economic sanctions work? Available at: http://www.bbc.com/news/world-middle-east-10742109 last access on 28th February
3. Tsebelis.G. (1990). ,,Are Sanctions Effective? A Game-Theoretic Analysis" .The Journal of Conflict Resolution, Vol. 34, No. 1 (Mar., 1990). Available at file:///F:/political%20economy/important/are_sanctions_effective_game%20theory.pdf last access on 28.12.2017
4. Jenkins. S. (2015). ,,Cuba has shown us that sanctions don't work – so why keep using them?". Available at https://www.theguardian.com/commentisfree/2015/apr/15/cuba-sanctions-dont-work-iran-russia-default-western-diplomacylast access on 28.02.2017
5. Osieja. H. (2005). ,,Economic Sanctions as an Instrument of U.S. Foreign Policy: TheCase of the U.S. Embargo against Cuba". Available at http://www.bookpump.com/dps/pdf-b/1123140b.pdflast access on 28.02.2017
6. Do sanctions work? Available at http://www.huffingtonpost.com/daniel-wagner/do-sanctions-work_b_7191464.html last access on 28.02.2017
7. Henderson. D. (1998). ,,Why Economic Sanctions Don't Work". Hoover Institution. available at http://www.hoover.org/research/why-economic-sanctions-dont-work last access on 28.02.2017
8. Sobahi. L. (2015). ,,Economic sanctions don't work: The case of Sudan" available at file:///F:/political%20economy/important/done/Sudan.pdf last access on 28.02.2017
9. Robbins .C. (2013). ,,why economic sanctions rarely work" available at http://www.bloomberg.com/news/articles/2013-05-23/why-economic-sanctions-rarely-work last access on 28.02.2017
10. ,,Cuba has shown us that sanctions don't work – so why keep using them?" available at https://www.theguardian.com/commentisfree/2015/apr/15/cuba-sanctions-dont-work-iran-russia-default-western-diplomacy last access on 28.02.2017
11. ,,Economic Sanctions as a Foreign Policy Tool: a Comparative Analysis of Their Effects on the Russian and Iranian Oil and Gas Industries" available at http://www.icpublicpolicy.org/conference/file/reponse/1433960996.pdf last access on 28.02.2017
12. Cassidy. J. (2013). ,,IRAN NUKE DEAL: DO ECONOMIC SANCTIONS WORK AFTER ALL?" available at http://www.newyorker.com/news/john-cassidy/iran-nuke-deal-do-economic-sanctions-work-after-all last access on 28.02.2017
13. Oskarsson. K. (2012) . ,,Economic Sanctions on Authoritarian States: Lessons Learned". Middle East Policy Council; Volume XIX, Number 4; available athttp://www.mepc.org/journal/middle-east-policy-archives/economic-sanctions-authoritarian-states-lessons-learned last access on 28.02.2017
14. Perrotta. M. (2012) . ,,Do Economic Sanctions Work?"available at https://www.ethz.ch/content/specialinterest/gess/cis/center-for-securities-studies/en/services/digital-library/articles/article.html/154551 last access on 28.02.2017

15. Chingono; Hoveand Steven James Danda. (2013). ,,Sanctions Effectiveness in a Globalized World". International Journal of Humanities and Social Science; Vol. 3 No. 21. Available at http://www.ijhssnet.com/journals/Vol_3_No_21_[Special_Issue_December_2013]/33.pdf last access on 28.02.2017
16. Delvic. M. ,,Economic Sanctions as a Foreign Policy Tool: The Case of Yugoslavia" available at http://www.gmu.edu/programs/icar/ijps/vol3_1/Delvic.htm last access on 28.02.2017
17. Laverty. A. (2007). ,,Impact of Economic and Political Sanctions on Apartheid" available at https://theafricanfile.com/politicshistory/impact-of-economic-and-political-sanctions-on-apartheid/ last access on 28.02.2017
18. Drezner. D. (1998).,, Serious about sanctions - positive and negative aspects of economic sanctions". Available at http://www.danieldrezner.com/research/serious.pdf; last access on 20.03.2017
19. Levy, P. (1999). Sanctions on South Africa: What Did They Do? *The American Economic Review,89*(2), 415-420. Retrieved from http://www.jstor.org/stable/117146

დანართი 1.

Table 1. Summary of Hufbauer, Schott, and Elliot's Findings.

Policy Goal	Successes	Failures	Success Ratio (percentage of total)
Modest policy change	17	34	33%
Destabilization	11	10	52%
Disrupt military adventures	6	12	33%
Impair military in war	2	8	20%
Other major policy changes	5	15	25%
All cases*	41	79	34%

NOTE: *The data set includes 115 cases; however, 5 cases are counted twice. Hufbauer, Schott, and Elliot claim success in 40 distinct cases, but 1 is counted twice.

SOURCE: Gary Clyde Hufbauer, Jeffrey J. Schott, and Kimberly Ann Elliot, *Economic Sanctions Reconsidered*, 2nd ed., Vol. 1 (Washington, D.C.: Institute for International Economics, 1990), Table 5.1, p. 93.